

შპს „ ლუკა 2005“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-17

შპს „ლუკა 2005“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	544,045	583,325
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		544,045	583,325
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	2,298	8,070
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	5,709,184	5,433,904
მარაგები	6	1,258,083	516,152
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		6,969,565	5,958,126
მთლიანი აქტივები		7,513,610	6,541,450
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		160,001	63,471
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,320,547	3,164,989
		3,480,547	3,228,460
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,674,439	2,563,297
საგადასახადო ვალდებულებები		1,358,623	749,694
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		4,033,062	3,312,991
მთლიანი ვალდებულებები		4,033,062	3,312,991
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		7,513,610	6,541,450

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე

ხელმომწერი პირები:

იუზა ჯოგლიძე - გენერალური
დირექტორი

შენიშვნები 6-17 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები
საინვესტიციო ქონება
ბიოლოგიური აქტივი
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

	12/31/2023	12/31/2022
3	544,045	583,325
	-	-
	-	-
	-	-
	544,045	583,325

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
მარაგები
მისაღები დივიდენდები და პროცენტები

4	2,298	8,070
5	5,709,184	5,433,904
6	1,258,083	516,152
	-	-
	6,969,565	5,958,126
	7,513,610	6,541,450

მთლიანი აქტივები

მთლიანი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი
გადაფასების რეზერვი
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

	160,001	63,471
	-	-
	3,320,547	3,164,989
	3,480,547	3,228,460

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები
ანარიცხები
გადავალდებული შემოსავალი

	-	-
	-	-
	-	-

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
საგადასახადო ვალდებულებები
გადასახდელი პროცენტი
გადასახდელი დივიდენდი

7	-	-
8	2,674,439	2,563,297
	1,358,623	749,694
	-	-
	-	-
	4,033,062	3,312,991

მთლიანი ვალდებულებები

მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები

	4,033,062	3,312,991
	7,513,610	6,541,450

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე



შპს „ლუკა 2005“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	9	24,043,385	20,160,089
თვითღირებულება		(16,254,355)	(11,083,166)
საერთო მოგება		7,789,029	9,076,924
სხვა შემოსავლები		93,661	13,199
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(7,705,731)	(4,648,435)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		(55,248)	(1,782)
საოპერაციო მოგება		121,712	4,439,906
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	(39,521)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	(39,521)
მოგება დაბეგვრამდე		121,712	4,400,385
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		121,712	4,400,385
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		121,712	4,400,385

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე

ხელმოწერი პირები:

იუზა ჯოგლიძე - გენერალური
დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	9	24,043,385	20,160,089
თვითღირებულება		(16,254,355)	(11,083,166)
საერთო მოგება		7,789,029	9,076,924
სხვა შემოსავლები		93,661	13,199
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(7,705,731)	(4,648,435)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		(55,248)	(1,782)
საოპერაციო მოგება		121,712	4,439,906
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	(39,521)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	(39,521)
მოგება დაბეგვრამდე		121,712	4,400,385
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		121,712	4,400,385
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		121,712	4,400,385

ხელმოწერა
გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე



შენიშვნები 6-17 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ლუკა 2005“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	-	222,691	222,691
წმინდა მოგება	-	-	(1,006,718)	(1,006,718)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,006,718)	(1,006,718)
გაცემული დივიდენდი	-	-	(210,526)	(210,526)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	55,155	55,155
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(939,398)	(939,398)
წმინდა მოგება	-	-	(218,115)	(218,115)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(218,115)	(218,115)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	177,190	177,190
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(980,323)	(980,323)
წმინდა მოგება	-	-	4,400,385	4,400,385
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(22,728)	(22,728)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	4,377,657	4,377,657
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(168,874)	(168,874)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,228,460	3,228,460
წმინდა მოგება	-	-	121,712	121,712
სხვა სრული შემოსავალი	-	-	33,846	33,846
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	155,558	155,558
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	96,530	96,530
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,480,548	3,480,548

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე

ხელმომწერი პირები:

იუზა ჯოგლიძე - გენერალური
დირექტორი

შენიშვნები 6-17 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	-	222,691	222,691
წმინდა მოგება	-	-	(1,006,718)	(1,006,718)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,006,718)	(1,006,718)
გაცემული დივიდენდი	-	-	(210,526)	(210,526)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	55,155	55,155
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(939,398)	(939,398)
წმინდა მოგება	-	-	(218,115)	(218,115)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(218,115)	(218,115)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	177,190	177,190
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(980,323)	(980,323)
წმინდა მოგება	-	-	4,400,385	4,400,385
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(22,728)	(22,728)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	4,377,657	4,377,657
გაცემული დივიდენდი	-	-	(168,874)	(168,874)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	3,228,460	3,228,460
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	121,712	121,712
წმინდა მოგება	-	-	33,846	33,846
სხვა სრული შემოსავალი	-	-	155,558	155,558
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	96,530	96,530
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,480,548	3,480,548

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი: იუზა ჯოგლიძე



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ლუკა 2005“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2019 წლის 3 ივლისს. კომპანიის დამფუძნებელს, 100% - იანი წილის მფლობელობით წარმოადგენს იაშა ჩაჩუა (პ / ნ- 37001000291)

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს პურისა და ფუნთუშეულის წარმოება, რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი სამტრედია, კონსტიტუციას ქუჩა, N1, ბინა 9

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ძირითადი პრინციპები

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. ვინაიდან, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია უწყვეტად გააგრძელებს ფუნქციონირებას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება სრულ შემოსავალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2023	01 იანვ 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. კომპანია თითოეულ ძირითად საშუალებას განუსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას, რომლის მიხედვითაც ხდება ცვეთის დარიცხვა, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

შემოსავალი პროდუქციის მიწოდებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის/მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: - კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; - კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო

საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

2023 წლის კომპანიის ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	-	-	32,271	1,513	150,991	184,775
შემოსვლა	-	271,186	4,744	-	83,749	359,679
გასვლა	-	-	-	-	(87,791)	(87,791)
31 დეკემბერი 2021	-	271,186	37,015	1,513	146,949	456,664
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2020	-	-	(3,616)	(133)	(10,608)	(14,357)
პერიოდის ცვეთა	-	(4,492)	(4,714)	(194)	(26,106)	(35,505)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	17,355	17,355
31 დეკემბერი 2021	-	(4,492)	(8,331)	(327)	(19,358)	(32,508)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	-	-	28,655	1,379	140,384	170,418
31 დეკემბერი 2021	-	266,695	28,684	1,186	127,591	424,156
შემოსვლა	-	10,932	178,158	-	23,517	212,608
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	282,119	215,174	1,513	170,466	669,271
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2021	-	(4,492)	(8,331)	(327)	(19,358)	(32,508)
პერიოდის ცვეთა	-	(13,630)	(14,381)	(220)	(26,479)	(54,710)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(18,121)	(22,712)	(547)	(45,837)	(87,218)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	-	263,997	192,462	966	124,629	582,054
შემოსვლა	-	-	-	-	40,500	40,500
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	282,119	215,174	1,513	210,966	709,771
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	-	(18,121)	(22,712)	(547)	(45,837)	(87,218)
პერიოდის ცვეთა	-	(14,580)	(39,951)	(176)	(23,800)	(78,508)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(32,702)	(62,664)	(723)	(69,637)	(165,726)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	-	249,417	152,510	789	141,329	544,046

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ინფორმაცია ფულადი სახსრების შესახებ მოცემულია ქვემოთ მოყვანი; ცხრილში

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	-	7,981
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,298	89
უცხოური ვალუტა ბანკში	-	-
სულ	2,298	8,070

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების შესახებ მოცემულია ცხრილში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	5,266,575	5,042,475
გადახდილი ავანსები	442,609	391,429
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	5,709,184	5,433,904

შენიშვნა 6

ინფორმაცია კომპანიის მარაგების შესახებ მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	1,258,083	516,152
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	1,258,083	516,152

კომპანია ახდენს მზა პროდუქციის, წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით წარმოებას და მიმდინარედვე რეალიზაციას. შესაბამისად, კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მზა პროდუქციის ნაშთი არ უფიქსირდება.

შენიშვნა 7

სესხები

ინფორმაცია სესხებთან დაკავშირებით მოცემულია ცხრილში.

სესხები	2023	2022
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	-	-
სულ სესხები	-	-
მოკლევადიანი		
საბანკო ოვერდრაფტი	-	-
საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	-	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	-	-
	-	-
სულ სესხები	-	-

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით მოცემულია ცხრილში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,231,068	2,189,116
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
მიღებული ავანსები	23,082	19,819
გადასახდელი ხელფასები	420,289	354,362
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
სულ	2,674,439	2,563,297

შენიშვნა 9

ამონაგები

ინფორმაცია ამონაგების შესახებ მოცემულია ცხრილში.

ამონაგები	2023	2022
საქონლის გაყიდვა	16,379,502	13,943,797
მომსახურების გაწევა	7,663,882	6,216,292
სულ	24,043,385	20,160,089

შენიშვნა 10

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

ინფორმაცია კომპანიის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით მოცემულია ცხრილში.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(6,706,222)	(3,784,248)
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ხარჯი	(112,679)	(18,092)
საწვავი	(259,004)	(251,808)
ტრანსპორტირების ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(244,504)	(194,778)
ოფისის ხარჯი	-	-
კომუნალური ხარჯები	(136,518)	(182,848)
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
დაზღვევის ხარჯი	-	(3,770)
რემონტი	(98,696)	(88,582)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(69,600)	(69,600)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(78,508)	(54,710)
სულ	(7,705,731)	(4,648,435)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ დაფიქსირებია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის მიერ.